ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №7750904

ნომერი: AR11121543

თარიღი : 15.12.2025

გაცემის თარიღი : 22.12.2025

გაცნობის თარიღი : 22.12.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მირიან მეფის ქუჩა, N 28;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რიმა ლომაური პ/ნ 01011018771
- ქ. თბილისი, რიონჰესის 6ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 15 დეკემბერს №AR11121543 განცხადებით მომართა რიმა ლომაურმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 24 სექტემბრის №7640314 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2025 წლის 24 სექტემბრის №7640314 ბრძანებით შეთანხმდა №01.72.14.035.665 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სავაჭრო ცენტრის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 24 სექტემბრიდან 2027 წლის 24 მარტის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2025 წლის 24 სექტემბრის №7640314 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე, ფასადებსა და ჭრილებზე. განმცხადებელი განმარტავს, რომ შეთანხმებულ გეგმებზე, ფასადებზე და ჭრილებზე გამორჩენილი იყო ზოგიერთი აგრეგატის და მილის ასახვა, რომლებიც აღნიშნული ბრძანების გამოცემის დროს უკვე მოწყობილი იყო, რისთვისაც გადახდილი აქვს შესაბამისი ჯარიმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს წარმოდგენილი გეგმების, ფასადების და ჭრილების ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილ გეგმებზე, ფასადებზე და ჭრილებზე ასახული ცვლილებები არ წარმოადგენს სამსახურის 2025 წლის 24 სექტემბრის №7640314 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, განმცხადებლის მიერ მითითებული ცვლილებები არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2025 წლის 24 სექტემბრის №7640314 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.